ხორასმიელთა მეფის ფარასმანესის ქვეყნის ლოკალიზაციისათვის

ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებული ერთი ცნობის ინტერპრეტაციის მცდელობა

- ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობები რენესანსის ეპოქიდან დაწყებული საფუძვლიანად არის შესწავლილი მკვლევართა მიერ და ამიტომ ძალზე რთულია სამეცნიერო მიმოქცევაში მკვიდრად ფესვგამდგარი შეხედულებებთან მიმართებაში რაიმე ახლის მიკვლევა ანდა განსხვავებული აზრის გამოთქმა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ რჩება რიგი არასათანადოთ გარკვეული თუ სულაც გაურკვეველი საკითხებისა. ერთ- ერთი მათგანი დაკავშირებულია ცენტრალურ აზიაში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობასთან.

historyofi

Map of the Persian Empire



ძვ. წ. 327 წ. გაზაფხულზე ხორასმიელთა მეფე ფარასმანესი 1500 მხედრის თანხლებით ეახლა ალექსანდრე დიდს ცენტრალურ აზიაში მდებარე მდ. ოქსის (თანამ. ამუ დარია) ნაპირებთან და მოახსენა, რომ იგი ცხოვრობდა კოლხებისა და ამაძონელების მეზობლად და მზად იყო დახმარებოდა ალექსანდრეს, თუკი იგი გადაწყვეტდა ამ ტომების დამორჩილებას.

Karpaten
Donau
Thrakien
Schwarzes Meer
Sinope
Byzanz
Phasis
Kaukasus
Trapezunt
Kaspisches Meer
Aral
Jaxartes
Alt-Urgentsch
Chiwa
Choresmien
Oxus
Merw
Kleinasien
Ipsos 301 v.Chr.
Ephesus
Athen
Kilikien
Rhodos
Kreta
Carrhae
Tigris
Antiochia
Arbela
Herat
Laodikeia
Salamis
Zypern
Euphrat
Mesopotamien
Ekbatana
Tyrus
Damaskus
Seleukia
Babylon
Susa
Persien
Alexandria
Gaza
Jerusalem
Petra
Persepolis
Ammonium
Harmosia
Ägypten
Nil
Ptolemais
Theben
Rotes Meer
Persischer Golf
Arabien
Syene
Nubien

THE EMPIRE OF ALEXANDER
334-323 B.C.
Conquest course of Alexander
Battle
Siege
Town founded by Alexander
Settlement of existing town
Mountain pass
Greek colony
Persian royal road
Alexandria
0
500 km
BOSPORAN KINGDOM
Panticapaion
SARMATIANS
Caspian Sea
Aral Sea
KHWARAZMIANS
MASSAGETAE
Black Sea
Sinope
Phasis
IBERIA
COLCHIS
PAPHLAGONIA
PONTOS
Trapezunt
Comana
Ancyra
CAPPADOCIA
ARMENIA
CILICIA
Gates
Issus
333
Tarsus
Amida
Edessa
Mazaka
Gaugamela
Arbela
Mazaca
MEDIA
Zeugma
Ecbatana
Zagros
HYRCANIA
Hecatompylos
Susa
PARTHIA
ARIA
A. in Aria
Caspian Gates
Kavir Desert
Lut Desert
Pasargadae
Persepolis
Fasa
Rhagae
Aspadana
Susiana
SUSIANA
Babylon
BABYLONIA
Lipis
Tigris
Euphrates
MESOPOTAMIA
Palmyra
Damascus
SYRIA
Byblos
Sidon
Tyre
Gaza
Jerusalem
Petra
NABATAEANS
CYPRUS
Red Sea
Persian Gulf
PERSIS
GEDROSIA
Fleet of Nearchus
Crateros
Nautaca
Oxus
MARGIANA
A. in Margiana
BACTRIA
A. in Arachosia
Phrada
Arachosia
Alexandria
Pura
Route of
Fleet of Near

ეს ცნობა ფლავიუს არიანეს “ალექსანდრეს ლაშქრობაშია” შემონახული (XV, IV, 14-15) . მსგავსი ცნობა გამოყენებული აქვს კვინტუს კურციუს რუფუსაც, “ალექსანდრეს ისტორიაში”, ოღონდ მასთან ხორასმიელთა მეფის სახელია ფრატაფერნესი (viii. i. 8).

- ალექსანდრემ “ხორასმიელების” მეფეს მიუგო, რომ იმჟამად მას არ ჰქონდა დრო და საშუალება პონტოსკენ გასალაშქრებლად, მაგრამ აზიის დაპყრობისა და ჰელესპონტოსა და პროპონტიდისის გავლით საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ, იგი მთელი თავისი საზღვაო და სამხედრო ძალების დახმარებით ღრმად შეიჭრებოდა პონტოში და მხოლოდ მაშინ დასჭირდებოდა მას ფარასმანესის დახმარება.

Beryula
I R A C E
A S I A
Deleus
Phinopolis
Schinabria
Byzantium
Hermeum
Bisanthe
Perinthus
(Heraclea)
Demonesi Is.
P R O P O N T I S
Proconnesus
Agora
Lysimachia
Hexamilion
Proconnesus
Posidium Pr.
Mt. Dindymus
Bay of Cus
Dascylium
Priapus
Artace
Myrlea
Zelea
Apollonia
Miletopolis
Aphnitis

The Greek World during the Persian Wars (500–479 BC)
Ionian revolt
Main battle
Greek opponents of Persia
Greek neutral states
Persian empire
Persian vassal states
Ionian rebels (498 BC)
Mardonius (492 BC)
Artaphernes/Datis (490 BC)
ADRIATIC SEA
ILLYRIA
THRACE
PROPONTIS
BITHYNIA
Byzantium
Chalcedon
Astakos
Perinthus
Proconnesus
Cyzicus
Abdera
Maronea
Doriskos
Aenus
Thasos
Samothrace
Sestos
Lampsacus
Abydos
Imbros
Eion
Stagira
Therma
Pella
MACEDONIA
Xerxes Canal
Olynthus
Torone
Potidaea
Methoni
Aegae
Pydna
Epidamnus
Apollonia
Lemnos
Ilium
MYSIA
Antandrus
Assus
Adramyttium
PERSIAN EMPIRE
Pergamon
Lesbos
Mytilene
Pitane
LYDIA
Phocaea
Smyrna
Sardis
498
Clazomenae
IONIA
Chios
Colophon
Ephesus
Tralles
Mycale 479
Samos
Miletus
Lade 494
Mylasa
CARIA
Halicarnassus
Physcus
Kos
Cnidus
DODECANESE
Lindos
Rhodes
Karpathos
CRETE
AEGEAN SEA
Kasthanaia
Larissa
Pherae
THESSALY
Skiathos
Skyros
480 Cape Artemision
Pharsalus
EPIRUS
Dodona
Korkyra
Kassope
Ambracia
Anactorium
ACARNANIA
AETOLIA
Thermopylae 480
EUBOEA
Chalcis
Eretria
PHOCIS
Delphi
Thebes
BOEOTIA
Marathon 490
Karystos
Andros
Plataea 479
Naupactus
Calydon
Athens
Megara
ATTICA
480 Salamis
Tinos
Mykonos
Ikaros
Patras
ACHAEA
Cephallenia
Phlius
Corinth
Keos
Syros
Delos
Kythnos
Naxos
Paros
Serifos
Amorgos
Sifnos
CYCLADES
Ios
Astipalea
Melos
Anafe
Thera
Cythera
ELIS
Zakynthos
Elis
ARCADIA
ARGOLIS
Argos
Olympia
Tegea
MESSENIA
Messene
Sparta
LACONIA
Methoni

ცხადია, რომ არიანეს ტექსტი უნდა ეხებოდეს შავიზღვისპირეთს და არა ცენტრალურ აზიას, გარდა იმისა, რომ მასში მოხსენიებული არიან კოლხები, ამაძონელები და *ექვსინის პონტო*, ამასვე უნდა მოწმობდეს თვით ალექსანდრეს სიტყვები, რომ მხოლოდ ჰელესპონტოსა და პროპონტიდისის გავლით საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ (ე. ი. ცენტრალური აზიიდან უკან გამობრუნების შემდეგ), გაემართებოდა იგი პონტოსკენ და ამისათვის გამოიყენებდა, როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო ძალებს. ეს უკანასკნელი შენიშვნა - "საზღვაო ძალების გამოყენება" - ძნელად წარმოსადგენად ხდის ცენტრალურ აზიაში მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობას.

საფიქრებელია, რომელიღაც, ანატოლია-კავკასიის მიჯნაზე განლაგებული, ქვეყნის სახელი ყოფილიყო აღრეული ცენტრალურ აზიაში მდებარე ქვეყნის - ხორეზმის - სახელწოდებასთან. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს სტრაბონის ცნობა, რომ სომხებმა თავისი ქვეყანა განადიდეს იბერიელთაგან გოგარენეს გარდა პარიადრის მთიანეთისა და *ხორძენეს* ჩამოჭრით (XI, XIV, 9). "ხორძენე", როგორც ჩანს, ძირითადად მოიცავდა ძველ ქართულ პროვინციებს, კოლასა და არტაანს.

ASIA MINOR.
PONTUS EUXINUS (BLACK SEA)
PAPHLAGONIA
BITHYNIA
MYSIA
Galatia
PHRYGIA
CAPPADOCIA
PISIDIA
CARIA
LYCIA
CYPRUS
SYRIA
ARMENIA
MESOPOTAMIA
MEDITERRANEAN SEA
Arabia Deserta
PALESTINE

IENIA.
S, IBERIA.
ANIA &c.
PONTUS
EUXINUS
Armenian-history.com

აღსანიშნავია, რომ ქ. არტაანის სამხრეთით არის დადასტურებელი ტოპონიმი “ხორზიანის ველი”, ხოლო კოლა-არტაანისა და ტაო-კლარჯეთის გამყოფი არსიანის ქედი (დღევ. იაზლინჯამ დაღლარი) გიორგი მერჩულის X საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, “ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელისა” მოხსენიებულია “ხორასუნთა მთათა” სახელწოდებით: *“რამეთუ ოდესმე ზაფხულისა ჟამსა მთათა მათ ხორასუნთა გარდამოვიდოდა იგი* [დიდი ეპიფანე, გრიგოლ ხანძთელის მოწაფე – გ.ქ.] *და მის თანა ძმანი. და იხილეს ადგილი მარჯვე და პურისა ჭამად დასხდეს ”.*

D. 7541

G. D. 7541

ფლავიუს არიანეს “ალექსანდრეს ლაშქრობის” ტექსტში *ხორასმიელთა* მეფის ფარასმანესის სახელს, იბერიული მხარის ხორძენეს მმართველი უნდა იყოს ამოფარებული, მითუმეტეს, რომ სახელი ფარასმანესი/ფარსმანი ხშირად არის დადასტურებული იბერიაში.

ძვ. წ. გვიან IV - ადრეულ III საუკუნეების ცენტრალურ ამიერკავკასიაში ადგილი უნდა ჰქონოდა გარკვეულ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის) ისტორიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტთან სახელმწიფოებრიობის წარმოქმნასთან. ქართულ და სომხურ მატიანეთა მონაცემები აღადგენენ იმ მოვლენებს, რომელთაც საწყისი სტიმული ალექსანდრე დიდის მიერ აქემენიდთა იმპერიის დაპყრობით მიეცათ და რომლებსაც პოსტ-ალექსანდრულ ხანაში აღმოსავლეთქართული (იბერიული) სახელმწიფოს წარმოქმნა-ჩამოყალიბება უნდა გამოეწვია.

ცენტრალური ამიერკავკასია, ოიკუმენეს ანუ ძველი ცივილიზებული სამყაროს უსაფრთხოებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მხარე ახალი პოლიტიკური წესრიგის ჩამომყალიბებელთა ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა და შესაბამისად აქემენიანთა მეურვეობას მოკლებული "კავკასიის კარის" ანუ დარიალის გადმოსასვლელის კონტროლისათვის საჭირო ძალის არსებობა დღის წესრიგში გარდაუვლად უნდა დამდგარიყო. სწორედ ამით აიხსნება ის ურთიერთკავშირი, რომელიც შეინიშნება აქემენიანთა ირანის დაცემასა და აღმოსავლეთქართული სახელმწიფოებრიობის აღმოცენებას შორის. იბერიის სამეფო მთელი თავისი არსით ელინისტური სამყაროს ნაყოფია და, შესაბამისად, ამავე სამყაროს შემადგენელ სახელმწიფოთა ვრცელი ჯაჭვის *(Pax Macedonica)* ერთ-ერთი არსებითი რგოლია.